

# დაუშვებელი მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში

**ავტორი: როინ ხინთიბიძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების მაგისტრანტი

*"საბოლოო ჯამში სიცოცხლეს და თავისუფლებას საფრთხე ექმნება, როგორც ჭეშმარიტი დამნაშავეების მიერ, ისე დამნაშავეებად მიჩნეული პირების წინააღმდეგ ჩადენილი უკანონო პროცედურებით" - ე.უორენი. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე<sup>1</sup>*

## შესავალი

სახელმწიფოს, სადაც ადამიანსა და ხელისუფლებას შორის მკაფიო, სტაბილური და ყველასთვის ცნობილი თამაშის წესები არსებობს, სამართლებრივი სახელმწიფო ეწოდება. ეს ისეთი სახელმწიფოა, სადაც ხელისუფლება შეზღუდულია ადამიანის უფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით და ადამიანს შეუძლია ზუსტად გამოიცნოს ხელისუფლების რეაქცია მის ქმედებაზე, ვინაიდან ამ სახელმწიფოს მართავენ არა თავნება თანამდებობის პირები, არამედ კანონები.

სასამართლო დაცვის გარანტია, რაც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლშია განმტკიცებული, ძირითადი საპროცესო უფლებაა და წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად პრინციპს სისხლის სამართლის პროცესისა, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მატერიალური სისხლის სამართალი.<sup>2</sup>

სასამართლო დაცვის გარანტიის პრინციპის ერთ-ერთ გამოხატულებას სახელმწიფო ორგანოების თვითნებობისაგან ადამიანების დაცვა წარმოადგენს. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობა, მტკიცებულებათა შეფასებისა და დასაშვებობის მკაფიო და მკაცრად განსაზღვრული ისეთი წესის არსებობა, რომელიც მაღალი ხარისხით დაიცავს პროცესის მონაწილე პირების უფლებებსა და ინტერესებს, სწორედ სახელმწიფო ორგანოების თვითნებობის აღკვეთას ემსახურება და პრინციპული მნიშვნელობა აქვს ისეთ ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნების სისხლის სამართალში, როგორც საქართველოა.

ნაშრომის ძირითადი მიზანია, დაუშვებელი მტკიცებულებები განხილულ იქნეს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. სტატიის მთავარი თემა კანონის არსებითი დარღვევა და მათ საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებებია. ნაშრომში განხილულ იქნება მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამაგრების ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც პრაქტიკაში მეტად იჩენს თავს და განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს.

მტკიცებულებათა დაუშვებლობა მეტად საინტერესო და სადისკუსიო საკითხია სისხლის სამართალში. მიმაჩნია, რომ ნაშრომში განხილული თემები, მოსაზრებები და პრაქტიკული მაგალითები, საინტერესო იქნება სისხლის სამართლის პროცესით დაინტერესებული მკითხველისთვის.

<sup>1</sup> იხ. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Miranda c. Arizona, 1966 წელი.

<sup>2</sup> იხ. ვ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2008 წელი, გვ. 241.

## I. დაუშვებელი მტკიცებულების ცნება

ახალი საპროცესო კოდექსი შეჯიბრებითობის პრინციპზეა აგებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მიზანი არ არის აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენა. სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სისხლის სამართლის პროცესის მიზანი სიმართლის დადგენაა, ხოლო სიმართლე, ერთი და იმავე ფაქტის შესახებ სხვადასხვა მტკიცებულებების არსებობისას, შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს.

სამართლებრივ სახელმწიფოში ჭეშმარიტების დადგენა არ არის სისხლის სამართლის პროცესის აბსოლუტური მიზანი, ვინაიდან იგი განიცდის გარკვეულ კანონისმიერ ბოჭვებს. ჭეშმარიტება დადგენილი უნდა იქნეს მხოლოდ პროცესუალურად დასაშვები საშუალებებით. შესაბამისად, მხარეების მიერ მოპოვებული ყველა ინფორმაცია ვერ იქნება დასაშვებ მტკიცებულებად ცნობილი სისხლის სამართლის პროცესში, თუ ისინი არ პასუხობენ კანონის მოთხოვნებს.<sup>3</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შემდგომში - სსსკ-ი) არ ითვალისწინებს „დასაშვები მტკიცებულების“ ცნებას. მტკიცებულებათა დაუშვებლობა ე.წ. ნეგატიური ენუმერაციის პრინციპით არის გადაწყვეტილი და მტკიცებულება დასაშვებად მიიჩნევა, თუ მისი დაუშვებლად ცნობის საფუძველი არ არსებობს.<sup>4</sup>

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს“. აღნიშნული კონსტიტუციური დებულება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის გამოხატულებაა, რომლის თანახმად, კანონისა და ადამიანის უფლებათა დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, დაუშვებელია პირის სისხლის სამართლებრივი დევნა და მსჯავრდება.<sup>5</sup>

1999 წლის რედაქციის სსსკ-ის 111-ე მუხლი, განსხვავებით დღეს მოქმედი სსსკ-ისგან, ამომწურავად ჩამოთვლიდა იმ გარემოებებს, რომლის არსებობისას მტკიცებულება უნდა მიჩნეულიყო დაუშვებლად, კერძოდ, “მტკიცებულება” დაუშვებლად მიიჩნევა, თუ იგი მიღებულია: ა) იმ თანამდებობის პირის ან ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილი არ არის შეკრიბოს მტკიცებულებანი ამ საქმეზე; ბ) კანონით გაუთვალისწინებელი წყაროდან; გ) კანონით დადგენილი წესის დარღვევით, აგრეთვე ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შანტაჟის, პიროვნების აბუჩად აგდების ან სხვა უკანონო მეთოდის გამოყენებით; დ) პირისაგან, რომელმაც დაარღვია კანონი ან რომელსაც არ შეუძლია მიუთითოს, რა წყაროდან, სად, როდის და როგორ გამოვლინდა მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები.<sup>6</sup>

სისხლის სამართლის ახალი კოდექსი, დაუშვებელ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, არსებითად განსხვავებულ ნორმებს შეიცავს. სსსკ-ის 72-ე მუხლის თანახმად, 1. არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია (ძალადაკარგულია, სიტყვები “ამ კოდექსის” არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი

<sup>3</sup> იხ. თუმანიშვილი, გ. სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი., 2014 წელი, გვ. 248.

<sup>4</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015 წლის №2/2/579 გადაწყვეტილება.

<sup>5</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება.

<sup>6</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილი, 1998 წლის რედაქცია.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015 #2/2/579 გადაწყვეტილებით) 2. მტკიცებულება ასევე დაუშვებელია, თუ იგი მოპოვებულია ამ კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ.

აღნიშნული ნორმა შეიცავს მხარეების მიერ, მოპოვებული ინფორმაციის დაუშვებლად ცნობის ზოგად საფუძველსა და წესს. იგი ამომწურავად არ ჩამოთვლის მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საფუძველებს. თუმცა, კანონმდებელი სსსკ-ის კონკრეტულ მუხლებში მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომლების არსებობის შემთხვევაშიც მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.<sup>7</sup> ამდენად, განსხვებით სსსკ-ის 1998 წლის რედაქციისგან, ახალი სსსკ-ის 72-ე მუხლი, რომელიც დაუშვებელ მტკიცებულებებს ეხება, ადგენს მხოლოდ იმ ძირითად პრინციპებს, რაც მტკიცებულების დაუშვებლად ცნობისთვის არის საჭირო.

## II. სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება - კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები

სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობასთან დაკავშირებით 2015 წლის 31 ივლისამდე შეიცავდა დანაწესს, რომლის მიხედვითაც მტკიცებულება დაუშვებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოპოვებული იქნებოდა სსსკ-ის არსებითი დარღვევით.<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015 წლის №2/2/579 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად გამოცხადდა სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები “ამ კოდექსის” საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: “მოქმედი კანონმდებლობა, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს კონსტიტუცია სსსკ-ის მიღმაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმეზე წარსადგენი მტკიცებულებების მოპოვების წესებს, ხოლო სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი ქმნის ზემოთ დასახელებული აქტების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობის შესაძლებლობას სისხლის სამართლის საქმეზე.”<sup>9</sup>

ამდენად, მტკიცებულებათა დასაშვებობის გადაწყვეტისას სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს მისი შესაბამისობა არა მარტო სსსკ-ის მოთხოვნებთან, არამედ სხვა საკანონმდებლო აქტებთანაც.

სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის შეიცავს სიტყვებს “არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები”, თუმცა საკითხს, თუ რა შეიძლება იყოს კანონის არსებითი დარღვევა, სსსკ-ი ღიად ტოვებს. სიტყვები “არსებითი დარღვევა” ფართო განმარტების საშუალებას იძლევა და ზოგჯერ რთულია დადგინდეს, თუ რომელი შემთხვევა კანონის არსებითი დარღვევა და რომელი-არაარსებითი.

<sup>7</sup> სპეციალური რეგულირება გათვალისწინებულია, მაგალითად, სსსკ-ის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 144-ე მუხლის 31 ნაწილით, 131-ე მუხლის მე-6 ნაწილით და სხვა მუხლებით.

<sup>8</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი, 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია. აღსანიშნავია, რომ 1998 წლის სსსკ-ის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილი ადგენდა რომ „კანონის დარღვევით მიღებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს“. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მტკიცებულებების დაუშვებლობა მხოლოდ „ამ კოდექსით“ შემოიფარგლა.

<sup>9</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015 წლის #2/2/579 გადაწყვეტილება.

კანონის არარსებით დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს საპროცესო დოკუმენტების შედგენისა თუ შევსების დროს დაშვებული ტექნიკური ხასიათის უნებლიე შეცდომები, თუ ისინი პროცესის მონაწილის, მათ შორის, მხარის მდგომარეობას არ ცვლის იმგვარად, რომ ამ შეცდომის არარსებობის შემთხვევაში სხვა გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული.<sup>10</sup>

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაიმიჯნოს მექანიკური შეცდომა და არსებითი დარღვევა, თუმცა, ზოგჯერ შესაძლოა მექანიკური შეცდომაც დაუშვებლობის საფუძველი გახდეს, თუ სხვა გარემოება შეცდომის მექანიკურობაზე არ მეტყველებს. მაგალითად, თუკი პირად ჩხრეკაში მონაწილე 2 პირიდან ოქმს ხელს აწერს მხოლოდ 1, ეს არ შეიძლება გახდეს მტკიცებულების დაუშვებლობის საფუძველი, თუ საგამომიებო მოქმედების ყველა მონაწილე და თავად ეს პირიც შემდგომ (დაკითხვისას, სასამართლოში) ადასტურებს საგამომიებო მოქმედებაში მონაწილეობას. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, რომ ხელმოწერის არარსებობა მექანიკური შეცდომის შედეგია და არა - კანონის არსებითი დარღვევის. ამის საპირისპიროდ, თუ ერთ-ერთი პოლიციელის ჩხრეკაში მონაწილეობას უარყოფს პირი, რომელსაც ჩაუტარდა ჩხრეკა და პოლიციელის განმარტებებიც არადამაჯერებელია (ვერ იხსენებს საგამომიებო მოქმედების მნიშვნელოვან დეტალებს), მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. მტკიცებულება ცალსხად დაუშვებელია, თუ ოქმს ხელს არ აწერს პირი, რომელსაც ჩაუტარდა ან რომელთანაც ჩატარდა ჩხრეკა და მას არც ოქმის ასლი გადაეცა (ცხადია, შესაბამისი შენიშვნის არარსებობის პირობებში). ზოგჯერ შესაძლოა საგამომიებო მოქმედების დაწყებისა და დასრულების დროის აღნიშვნა მექანიკურად გამორჩეს მის ჩამტარებელს, რაც ასევე გამოიწვევს მტკიცებულების დაუშვებლობას, თუ სხვაგვარად, დამაჯერებლად ვერ გაირკვევა ეს საკითხი და არც გადაუდებელი აუცილებლობა იარსებებს (სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-5 ნაწილით, საგამომიებო მოქმედების ღამით /22-დან 6 საათამდე/ ჩატარება დაუშვებელია, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა).<sup>11</sup>

კანონის არსებით დარღვევად უნდა ჩაითვალოს იმ საგამომიებო მოქმედების ჩატარება, რომლისთვისაც აუცილებელია მოსამართლის განჩინება, ასეთის არარსებობის შემთხვევაში. ასევე, თუ უშუალოდ დაირღვა ბრალდებულის უფლებები. მაგალითად: ბრალდებულისათვის უფლებების განმარტებამდე და განმარტების გარეშე მიცემული ინფორმაცია, ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე ჩატარებული ის საგამომიებო მოქმედება, რომელიც აუცილებლად მოითხოვს მის დასწრებას და ა.შ. მტკიცებულება ყოველთვის ჩაითვლება კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულად, თუ მისი მოპოვებისათვის გამოყენებული იქნა კანონით აკრძალული იძულება, წამება, დაშინება და სხვა სახის ზემოქმედება. მტკიცებულება კანონის არსებითი დარღვევით არის მოპოვებული, თუ მისი მოპოვებულ იქნა დანაშაულის ჩადენის გზით ან დანაშაულის შედეგად. კანონის არსებით დარღვევად ჩაითვლება მოწმის დაკითხვის წესების დარღვევით მოპოვებული ინფორმაციაც. მაგალითად: ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების განმარტების გარეშე მიცემული დაცული ინფორმაცია და ა.შ.

კანონის არსებითი დარღვევის შეფასების კრიტერიუმების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის განჩინება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ 2015 წლის 17 ივლისის განჩინებაში ნ.ს.-ს სისხლის სამართლის საქმეზე განიხილა რა პირადი ჩხრეკის ოქმის, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებებისა და ქიმიური ექსპერტის დასკვნის დაუშვებლად ცნობის თაობაზე

<sup>10</sup> იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სახელმძღვანელო იურისტებისთვის), გამომცემლობა მერიდიანი, 2014 წელი, გვ. 35.

<sup>11</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ქ. თბილისი, 2015 წელი, გვ. 655.

ბრალდების მხარის მიერ შეტანილი საჩივარი, განმარტა, რომ პირადი ჩხრეკის ჩატარებისას არსებით დარღვევად უნდა მივიჩნიოთ, როგორც კანონის უხეში დარღვევა მისი ჩატარების დროს ანუ პირადი ჩხრეკის პროცედურა, ისე პირადი ჩხრეკის საპროცესო გაფორმების დროს დაშვებული დარღვევა ანუ მისი ე.წ. დაოქმების არასწორად განხორციელება.<sup>12</sup>

კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს №1გ/548 განჩინება. სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულად ჩათვალა CD დისკზე გაკეთებული და ბრალდების მხარისათვის მესაკუთრის მიერ ნებაყოფლობით დათვალიერების გზით გადაცემული მასალები იმ მოტივით, რომ მხარე ვალდებული იყო, ეს მტკიცებულებები მოეპოვებინა მოსამართლის განჩინების გზით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. სასამართლომ განმარტა, რომ „როდესაც საგამომიებო ორგანოს წარმომადგენლის მხრიდან ადგილი აქვს კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში დაცული, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოთხოვას, ეს მოქმედება უნდა ჩატარდეს ისევე, როგორც ფარული საგამომიებო მოქმედება და არა, როგორც ჩვეულებრივი საგამომიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას“. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ „ფარულ საგამომიებო მოქმედებებზე არ ვრცელდება ნებაყოფლობითობა, სხვანაირად ეს საგამომიებო მოქმედება დაკარგავდა იმ სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას, რასაც ემსახურება ფარულ რეჟიმში ინფორმაციის მოპოვება“.<sup>13</sup>

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ადრე შეტანილი ერთ-ერთი სარჩელი (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 მაისის №2/10/231 განჩინება საქმეზე მოქალაქეები ივანე ოჩიგავა და ალექსანდრე აბრამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) აყენებდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არსებითი და არაარსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებათა შორის გაკეთებული დიფერენციაციის არაკონსტიტუციურობის საკითხს, რადგან კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტი ასეთ დიფერენციაციას არ აკეთებს. კონსტიტუცია იურიდიული ძალის არმქონედ მიიჩნევს კანონის დარღვევით მოპოვებულ ნებისმიერ მტკიცებულებას. სასამართლომ საქმე არ მიიღო არსებითად განსახილველად.<sup>14</sup>

ამდენად, რა ჩაითვლება “არსებითი დარღვევით” მოპოვებულ მტკიცებულებად და რა-არაარსებითად, მსჯელობის საგანია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა დადგინდეს.

<sup>12</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის განჩინება საქმეზე №სგ/1016.

<sup>13</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №1გ/548.

<sup>14</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თავი მეორე, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი, 2013წ, გვ. 553.

### III. სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება - მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა

სსსკ-ის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია. აღნიშნული ნორმა აფართოებს ნორმის მოქმედების ფარგლებს და მტკიცებულებად არ დაიშვება არა მხოლოდ კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული უშუალო მტკიცებულებები, არამედ ის შუალობითი მტკიცებულებები, რომლებიც უშუალო მტკიცებულების საფუძველზე იქნა მოპოვებული.

როგორც ვხედავთ, სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე მნიშვნელოვან დებულებას წარმოადგენს ე.წ „მოწამლული ხის ნაყოფის პრინციპი“, რომელიც კრძალავს უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობას. „მოწამლული ხის ნაყოფი“ არის მეტაფორა, რომელიც გამოიყენა 1939 წელს აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ფელიქს ფრანკფურტერმა გადაწყვეტილების დასაბუთებისას.<sup>15</sup>

„მოწამლული ხის ნაყოფის თეორია“ შემდეგნაირად განიმარტება: გამოძიების ორგანოები შესაძლოა ვარაუდობდნენ, რომ გარკვეულ მტკიცებულებას (ხე) შეუძლია მათ საქმის გარემოებათა დასადგენად მნიშვნელოვანი სხვა მტკიცებულებების (ნაყოფი) აღმოჩენაში შეუწყოს ხელი. თუკი ისინი პირველადი მტკიცებულების მოპოვებისას უხეშად დაარღვევენ კანონს და არ დაიცავენ სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ სტანდარტებს, მაშინ ამ პირველად მტკიცებულებას (ხე) წამლავენ. როდესაც პირველადი მტკიცებულების მოპოვებისას კანონი არსებითად არის დარღვეული (ხე მოიწამლა), მაშინ ასეთი მტკიცებულება არ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა მტკიცებულებების მოსაპოვებლად, რადგან დანარჩენი მტკიცებულებებიც მიუღებელია სასამართლოსთვის. სამართლებრივი სახელმწიფოსთვის ასეთი მტკიცებულებები წარმოადგენენ მოწამლული ხის ნაყოფებს, რომლებიც ასევე მოწამლულია.<sup>16</sup>

სსსკ-ი ერთნაირად არ განსაზღვრავს აღნიშნული პრინციპის გამოყენების შესაძლებლობას დაცვისა და ბრალდების მხარესთან მიმართებით. „მოწამლული ხის პრინციპი“ გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში კანონიერად მოპოვებული მტკიცებულება ამძიმებს ბრალდებულის მდგომარეობას ანუ „მოწამლული ხის“ პრინციპი მხოლოდ მამხილებელი მტკიცებულების მიმართ გამოიყენება. დაცვის მხარეს მოცემული დათქმა არ ეხება და მის მიერ თუნდაც კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე მოპოვებული გამამართლებელი მტკიცებულება დასაშვებია სისხლის სამართლის პროცესში.

„მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა“ არ არის აბოსოლუტური ხასიათის და იგი ცალკეულ გამონაკლისებსაც ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ, ქართული საპროცესო სამართალი მკვეთრად განსხვავდება ამერიკულისგან.

ამერიკის სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებულია ე.წ გამონაკლისები „მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინისგან“. აღნიშნული განპირობებულია იმ სირთულით, რაც უშუალო და

<sup>15</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ქ. თბილისი, 2015 წელი, გვ 245. იხ ციტირება: აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: *Nardone v. U.S.* 308 U.S. გვ. 338 (1939)

<sup>16</sup> იქვე, გვ.246.

შუალობითი მტკიცებულებების კავშირის დადგენისას წარმოიშობა. სირთულეს წარმოადგენს განსაკუთრებით იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეუძლია კანონდარღვევით მოპოვებულ მკიცებულებებს (მოწამლულ ხეს), გამოიწვიოს სხვა მტკიცებულების (ნაყოფების) დაუშვებლად ცნობა. არ იქნებოდა იმის მტკიცება მართებული, რომ კანონდარღვევით მოპოვებულმა მტკიცებულებებმა ყოველთვის უნდა დაბლოკოს მის საფუძველზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებების დასაშვებობა და მტკიცებულების ნაკლებობის გამო კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს აშკარად დამნაშავე პირის გასამართლების შესაძლებლობა.<sup>17</sup>

**დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისი** – ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც მტკიცებულებათა მოპოვება ეფუძნება არა მხოლოდ კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, არამედ სხვა დამოუკიდებელ წყაროსაც. დამოუკიდებელი წყაროს თეორიის თანახმად, სამხილი მისაღებია, თუ მომდინარეობს ორი წყაროდან, რომელთაგან მხოლოდ ერთია გაბათილებული.<sup>18</sup> ასეთ შემთხვევაში, რადგან მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობას სხვა, დამოუკიდებელი წყაროც იძლევა, დაშვებულია გამონაკლისი “მოწამლული ხის ნაყოფის” დოქტრინისაგან და იგი ვერ ზღუდავს მტკიცებულებათა დასაშვებობას.

**მტკიცებულების გარდაუვლად აღმოჩენის გამონაკლისი** (“Inevitable discovery exception”) - როდესაც მტკიცებულება მოპოვებულ იქნა კანონის არსებითი დარღვევით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ასეთი მტკიცებულების დასაშვებობას ვერ შეზღუდავს “მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა”, თუკი იმავე მტკიცებულების მოპოვება შესაძლებელი იყო ასევე კანონიერი გზებითაც. მტკიცებულების დასაშვებობისთვის აუცილებელი მოთხოვნაა, რომ კანონიერი გზით მისი აღმოჩენა დროის მოკლე მონაკვეთში დიდი ალბათობით უნდა ყოფილიყო შესაძლებელი და გარდაუვალი.<sup>19</sup>

**განწმენდილი (გამოსწორებული) ნაკლის გამონაკლისი** (“purged taint exception”) - ეს ის შემთხვევაა, როდესაც მტკიცებულების მოპოვებასა და კანონდარღვევით განხორციელებულ საგამომიებო მოქმედებას შორის, მართალია, მიზეზობრიობა დგინდება, მაგრამ მტკიცებულების დაშვება მაინც ხდება, რადგან კანონდარღვევასა და მტკიცებულების მოპოვებას შორის არსებული მიზეზობრივი კავშირი სხვა დამატებითი ფაქტორის გამო იმდენად შესუსტდა, რომ მანამდე არსებული ხარვეზების და ნაკლოვანებების გამოსწორება (განწმენდა) მოხდა.<sup>20</sup>

**კეთილსინდისიერების გამონაკლისი** („good faith exception“) - ეს ის შემთხვევაა, როდესაც დასაშვებია კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულება მიუხედავად იმისა, მოქმედებდნენ მტკიცებულების მოპოვებისას საგამომიებო ორგანოს თანამშრომლები განზრახ უკანონოდ თუ არა. მტკიცებულება, რომელიც მოპოვებულია სასამართლოს მიერ უსაფუძვლოდ გაცემული ჩხრეკის ნებართვის გამოყენებით, დასაშვებია, თუ პოლიცია თავად კეთილსინდისიერად და ადეკვატურად მოქმედებდა. კეთილსინდისიერების გამონაკლისის მნიშვნელოვანი წინაპირობაა ის, რომ შეცდომა დაშვებული უნდა იყოს არა საგამომიებო

<sup>17</sup> იხ. თუმანიშვილი, გ. სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014 წელი, გვ. 302.

<sup>18</sup> იხ. ი. ჩხეიძე „მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი. 2010 წელი. გვ. 78.

<sup>19</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ქ. თბილისი, 2015 წელი, გვ. 247.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 247.

ორგანოების მხრიდან, არამედ სასამართლოს მიერ. მოცემულ გამონაკლისს საფუძველი ჩაეყარა ე.წ. “ლეონის” საქმეში.<sup>21</sup>

როგორც აღვნიშნეთ, “მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა” ჩამოყალიბდა და განვითარდა აშშ-ში. აღნიშნული დოქტრინა აშშ-ში მოქმედებს, როგორც სამოსამართლო სამართლის ნაყოფი და მას საკანონმდებლო რეგლამენტაცია არ გააჩნია. შესაბამისად, ამერიკელ მოსამართლეს ფართო შესაძლებლობა და დამოუკიდებლობა აქვს მტკიცებულებათა ბედის გადაწყვეტისას და არ იზღუდება ზემოხსენებული დოქტრინით. მას შეუძლია ყოველი ინდივიდუალური შემთხვევისას იმსჯელოს “მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინის” გამოყენების თაობაზე და თუ იგი ჩათვლის, რომ მისი გამოყენების შედეგად, გაუმართლებლად მოხდება ცალკეული მტკიცებულებების საქმიდან ამორიცხვა, მაშინ მიიღებს განსხვავებულ გადაწყვეტილებას.<sup>22</sup>

აშშ-ის სისხლის სამართალი იცნობს სხვა საგამონაკლისო შემთხვევებსაც, როდესაც ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით კანონის არსებითი დარღვევის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები შესაძლებელია დასაშვებად იქნეს ცნობილი.<sup>23</sup>

განსხვავებით აშშ-სგან, საქართველოში “მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა” განსაზღვრულია სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. შესაბამისად, ქართველი მოსამართლე მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობისას შეზღუდულია სსსკ-ის 72-ე მუხლის დანაწესით და არ აქვს უფლება, გამოიყენოს რაიმე გამონაკლისი 72-ე მუხლის იმპერატიული დანაწესისგან.

დოგმატიკაში არ არსებობს ერთიანი პოზიცია “მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინისგან” გამონაკლისების გამოყენების თაობაზე. პროფესორი გიორგი თუმანიშვილი მიიჩნევს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ქართული კანონმდებლობა იძლევა გამონაკლისების გამოყენების შესაძლებლობას. მისი აზრით, იმ შემთხვევაში, როცა კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებსა და შემდგომში კანონიერად აღმოჩენილ მტკიცებულებას შორის არსებული მიზეზობრივი კავშირი გარკვეულ მოვლენათა განვითარების შედეგად შეწყვეტილია ან იმდენად შესუსტდა, რომ ეჭვქვეშ დგას, თუ რამდენად არის “მოწამლული” მტკიცებულება კანონდარღვევით მიღებული მტკიცებულებების “ნაყოფი” და ასევე, ხომ არ ჩამოშორდა მას “შხამი”, შესაძლებელია კანონიერად მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებად ცნობა. შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევებში დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისი ან გაწმენდილი (გამოსწორებული) ნაკლის გამონაკლისის გამოყენება სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველ ნაწილთან შეუსაბამო არ იქნება. რაც შეეხება დანარჩენ შემთხვევებს, მათი გამოყენება ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას<sup>24</sup>.

“მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინასთან” დაკავშირებით, საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლის საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 27 თებერვლის განჩინება. როგორც განჩინებიდან ირკვევა, დაცვის მხარემ შუამდგომლობით მიმართა ბრალდების მხარეს და მოითხოვა მოპოვებული მტკიცებულებების გადაცემა, რაც ბრალდების მხარის მიერ დაკმაყოფილდა, ამის შემდეგ ბრალდების მხარემ მოსთხოვა დაცვის მხარეს მის ხელთ

<sup>21</sup> იხ. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: U.S.v Leon.

<sup>22</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ქ. თბილისი, 2015 წელი, გვ 248.

<sup>23</sup> ვრცლად სხვა საგამონაკლისო შემთხვევები იხილეთ, თუმანიშვილი, გ. სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014 წელი, გვ. 312

<sup>24</sup> იხ. თუმანიშვილი, გ. სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014 წელი, გვ 315.

არსებული ინფორმაციის გადაცემა. მოთხოვნილი ინფორმაცია ბრალდების მხარეს გადაეცა ბოლო მოთხოვნიდან მე-4 დღეს. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ დარღვეულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები და მოცემული ინფორმაცია<sup>25</sup> ცნო დაუშვებლად, რადგან სსკ-ის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისათვის არსებული მასალის მხარისთვის გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას. ამასთან, სასამართლომ დაუშვებლად ცნო დაცვის მხარის მიერ ზემოხსენებული განცხადებების საფუძველზე მოპოვებული მასალაც, რამეთუ განცხადებები არ იქნა დაშვებული მტკიცებულებად და შესაბამისად, მის საფუძველზე მოპოვებული მასალების წარმომავლობის დადასტურება იყო შეუძლებელი, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტიკურია. მოცემული განჩინება გასაჩივრდა დაცვის მხარის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა გასაჩივრებული განჩინება და განმარტა, რომ: „მოთხოვნის მომენტისათვის არსებულ მასალაში“ მოიაზრება „სრული ინფორმაცია“, რაც წარმოადგენს ყველა იმ მტკიცებულებას თუ ინფორმაციას (დოკუმენტს), რომელიც მხარეებს მოთხოვნის მომენტში ხელთ აქვთ და რომლის წარდგენასაც აპირებს სასამართლოში. შესაბამისად, გადაუცემელი ინფორმაცია, რომელიც ხელთ გააჩნდა მხარეს, ე.წ. „დამალული მტკიცებულება“, ყველა შემთხვევაში დაუშვებელია. თუმცა, ასეთი ინფორმაციის დაუშვებლად ცნობა ავტომატურად არ იწვევს სხვა მტკიცებულებების, რომლებიც მოპოვებული იქნა თუნდაც ამ ინფორმაციის (მიმართვის წერილების) საფუძველზე მიღებული პასუხების შედეგად, დაუშვებლად ცნობას. საგამომიებო კოლეგიის შეფასებით, აღნიშნულზე ვერ გავრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის დანაწესი „მოწამლული ხის ნაყოფის“ პრინციპი (რადგან პირველადი მტკიცებულება დაუშვებლად იქნა მიჩნეული, მის საფუძველზე მოპოვებული ინფორმაციაც დაუშვებელია), ვინაიდან ამ ნორმით რეგულირდება მტკიცებულების დაუშვებლობა მოპოვების ხერხის უკანონობის საფუძველზე, ხოლო განსახილველ შემთხვევაში უკანონოდ მოიპოვება არა პირველადი ინფორმაცია, არამედ ირღვევა ინფორმაციის გაცვლის წესი (ვადა) და ასეთ ვითარებაში, თუ მოთხოვნის დაყენების მომენტში მხარეს მოპოვებული აქვს ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი და დანარჩენი მტკიცებულებების რეალურად მოპოვება მოხდა შემდეგ პერიოდში, დაუშვებელია ინფორმაციის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ობიექტურად ხელმისაწვდომი იყო და არსებობდა მოთხოვნის მომენტში.<sup>26</sup>

<sup>25</sup> საქმის მასალების მიხედვით, მოცემული ინფორმაცია იყო განცხადებები, რომელიც დაცვის მხარეს ჰქონდა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებების შედეგად, მაგ: დაცვის მხარის განცხადება თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორს და ა.შ. უფრო ვრცლად იხილეთ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 27 თებერვლის განჩინება საქმეზე №1გ/273-17.

<sup>26</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 27 თებერვლის განჩინება საქმეზე №1გ/273-17.

როგორც ვხედავთ, სასამართლომ არსებითად სწორად განმარტა სსსკ-ის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესი და კანონის დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებებზე არ გაავრცელა “მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა”.

მტკიცებულებათა დაუშვებლობის ზემოაღნიშნული პრინციპი ხშირად გამოიყენება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაშიც. საინტერესოა სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება. როგორც გადაწყვეტილებიდან ირკვევა, პალატამ უკანონოდ მიიჩნია მსჯავრდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა. ვინაიდან, იგი ჩატარებული იყო არსებითი დარღვევით. ამასთან, პალატამ განმარტა, რომ: განხილული გარემოებების გამო, მტკიცებულებით ძალას ვერ შეიძენს ქ. ...., ..... ქუჩაზე, 2013 წლის 3 მაისს მომხდარი შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული ის მასრები, რომლებიც, მოცემულ საქმეზე ჩატარებული ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, 2014 წლის 12 აგვისტოს ზ. მ-ას საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკისას ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღით გასროლილი ვაზნებისგანაა დარჩენილი. ეგრეთ წოდებული „მოწამლული ხის ნაყოფის“ ცნობილი პრინციპის შესაბამისად, არაკანონიერად მოპოვებული და არასანდო მტკიცებულებისგან მიღებული სხვა ახალი მტკიცებულებაც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირის მსჯავრდებისათვის, რადგან პირველადი წყაროს სამართლებრივი დეფექტი ასევე დეფექტურს ხდის მისგან ნაწარმოებ მტკიცებულებებსაც.<sup>27</sup>

აღსანიშნავია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ვკითხულობთ: რაც შეეხება მოწმე მ. ა-ის ჩვენებასა და ვიდეოჩანაწერის დათვალიერების ოქმს, საქართველოს სსსკ-ის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად „ამ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია“. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „...გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს“. საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „...-ას“ სათვალთვალო კამერის ვიდეოჩანაწერი სასამართლომ ცნო დაუშვებელ მტკიცებულებად. შესაბამისად, საკასაციო პალატა მ. ა-ის ჩვენებასა და მის მიერ შედგენილ დათვალიერების ოქმს ვერ მიიჩნევს ა. ჩ-ის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად, რადგან ეს ინფორმაცია მოპოვებულია დაუშვებლად ცნობილი ვიდეოჩანაწერიდან (დისკებიდან).<sup>28</sup>

#### **IV. დაუშვებელი მტკიცებულება საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო სამართლის მიხედვით.**

სსსკ-სგან განსხვავებით, დაუშვებელი მტკიცებულებების დეტალურ ჩამონათვალს ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

<sup>27</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №23-609აპ.-15.

<sup>28</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №23-453აპ.-15.

(შემდგომში რფსსკ), რომელიც უფრო დეტალურად ჩამოთვლის იმ შემთხვევებს, როცა შესაძლებელია მტკიცებულება ჩაითვალოს დაუშვებელ მტკიცებულებად. რფსსკ-ის 75-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, “მტკიცებულება, რომელიც მოპოვებულია ამ კოდექსის (იგულისხმება რფსსკ) მოთხოვნათა დარღვევით, კვალიფიცირდება, როგორც დაუშვებელი მტკიცებულება. დაუშვებელ მტკიცებულებას არ გააჩნია იურიდიული ძალა და არ შეიძლება იქნეს ბრალდების ან ამ კოდექსის (იგულისხმება რფსსკ-ი) 73-ე მუხლის საფუძვლად გამოყენებული.”<sup>29</sup> ხოლო, რფსსს-ის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მტკიცებულება დაუშვებელია თუ: ა) იგი წარმოადგენს წინასწარი გამოძიების დროს ეჭვმიტანილის ანდა ბრალდებულის მიერ ადვოკატის დასწრების გარეშე მიცემულ ჩვენებას ან ადვოკატის თანდასწრებით მიცემულ ჩვენებას, მაგრამ არ დასტურდება საქმის არსებითი განხილვის დროს მიცემული ჩვენებით. ბ) დაზარალებულისა და მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება ვარაუდს ან წარმოადგენს ირიბ ჩვენებას, თუ მოწმე ვერ დაასახელებს მოწოდებული ინფორმაციის წყაროს. გ) სხვა მტკიცებულება, რომელიც ამ კოდექსის (იგულისხმება რფსსსკ-ი) მოთხოვნათა დარღვევითაა მოპოვებული. აღსანიშნავია, რომ რფსსსკ-ი არ ითვალისწინებს “მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინის” ისეთივე დანაწესს, როგორც სსსკ-შია მოცემული.

ქართული კანონმდებლობის მსგავს ჩანაწერს იცნობს, ასევე, უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსი<sup>30</sup> (შემდგომში უსსსკ) რომლის 86-ე მუხლის თანახმად, 1. მტკიცებულება დასაშვებია, თუ იგი მოპოვებულია ამ კოდექსით დადგენილი წესით. 2. დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო განაჩენს. აღსანიშნავია, რომ უსსსკ-ი *numerus clausus* პრინციპით ჩამოთვლის მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის ყველა შემთხვევას უსსსკ-ის 87-ე, 88-ე და შემდგომ მუხლებში. უსსსკ-ის 87-ე თანახმად, მტკიცებულება დაუშვებელია, თუ მოპოვებულია ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევით. სასამართლო ვალდებულია დაადგინოს ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათ დარღვევა, თუ: ა) საგამოძიებო მოქმედების ჩატარება მოითხოვს სასამართლოს ნებართვას და იგი ჩატარებულია ამ ნებართვის გარეშე ან ნებართვის პირობების დარღვევით; ბ) მტკიცებულება მოპოვებულია წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის შედეგად; გ) დარღვეულია ბრალდებულის უფლებები; დ) პირის ჩვენება მიცემულია ისეთ პირობებში, როდესაც მას არ განუმარტეს თავისი უფლებები ჩვენებაზე უარის თქმის შესახებ; ე) ჯვარედინი დაკითხვის წესების დარღვევით; ვ) მტკიცებულება/ჩვენება მოპოვებულია იმ მოწმისგან, რომელიც შემდეგ ცნობილ იქნა ეჭვმიტანილად ან ბრალდებულად ამ სისხლის სამართლის საქმეზე. ხოლო იმავე კოდექსის 88-ე მუხლი დაუშვებლად მიიჩნევს ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც ეხება ინფორმაციას ბრალდებულისა და ეჭვმიტანილის პიროვნების შესახებ.

<sup>29</sup> რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლი დეტალურად ჩამოთვლის იმ გარემოებებს, რომელიც შეიძლება იყოს მტკიცების საგანი სისხლის სამართლის საქმეზე, მაგ: დანაშაულის ფაქტი, ამსრულებელები, მოტივი, მიზანი, განზრახვა, შედეგი, დამნაშავის პიროვნების მახასიათებელი გარემოებები და ა.შ.

<sup>30</sup> აღსანიშნავია, რომ განსხვავებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისგან, რომელიც მტკიცებულებათა დაუშვებლობას ე.წ. ნეგატიური ენუმერაციის პრინციპით წყვეტს. უსსსკ პოზიტიურად არეგულირებს ამ საკითხს და მტკიცებულებას დასაშვებად მიიჩნევს თუ იგი მოპოვებულია კოდექსით (იგულისხმება უსსსკ) დადგენილი წესით.

აღსანიშნავია გერმანული კანონმდებლობის მიდგომა დაუშვებელ მტკიცებულებებთან დაკავშირებით. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად „მტკიცებულების დაუშვებლობა არ შეიძლება იმ საფუძველზე, რომ ის სასამართლოში ძალიან გვიან იქნა წარდგენილი. როგორც ვხედავთ, განსხვავებით ქართული კანონმდებლობისგან, რომელიც მტკიცებულებათა წარდგენისათვის მკაცრად განსაზღვრულ წესს ითვალისწინებს, გერმანული კანონმდებლობა ლიბერალურია ზემოაღნიშნულთან მიმართებით და მტკიცებულება სასამართლოს შესაძლებელია მთელი პროცესის განმავლობაში წარედგინოს.<sup>31</sup> რაც შეეხება მტკიცებულებათა დაუშვებლობასა და დაუშვებელ მტკიცებულებებს. გერმანული კანონმდებლობა ამ მხრივაც განსხვავდება ქართულისგან და არ ითვალისწინებს ისეთივე დანაწესს, როგორც სსსკ-ის 72-ე მუხლშია მოცემული. იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სპეციალური მუხლით რეგულირდება (მაგ: 136a პარაგრაფი და.აშ).

მტკიცებულებათა დასაშვებობისადმი ძალზედ მკაცრი მიდგომით გამოირჩევა იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის 191-ე მუხლი ჰგავს ქართულ დანაწესს. იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, კანონით დაწესებული აკრძალვების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება არ გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ევროკონვენციის მე-6 მუხლი არ მოიცავს დებულებას მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ, რადგან აღნიშნული საკითხი წარმოადგენს ქვეყნის შიდა კანონმდებლობის რეგულირების ნაწილს.<sup>32</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მრავალჯერ აქვს აღნიშნული, რომ თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი იცავს პირის უფლებას სამართლიან სასამართლო განხილვაზე, აღნიშნული მუხლი არ ადგენს მტკიცებულებათა დასაშვებობის წესებს. ეს უკანასკნელი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის პრეროგატივაა, ხოლო ევროპული სასამართლოს ფუნქციაა მთლიანობაში სამართალწარმოების სამართლიანობის შეფასება.<sup>33</sup> ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო უკეთეს პოზიციაშია, ევროპულ სასამართლოსთან შედარებით, რათა შეაფასოს მტკიცებულება, დაადგინოს ფაქტები, ან განმარტოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა.<sup>34</sup> თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კრძალავს სახელმწიფო მოსამსახურეების მიერ დანაშაულის პროვოკაციის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებას<sup>35</sup>, ვინაიდან დანაშაულის პროვოკაციის გზით მოპოვებული მტკიცებულებების სისხლის სამართალწარმოებაში გამოყენებამ შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს პროცესის

<sup>31</sup> იხ. გერმანიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლი.

<sup>32</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Schenk v. Switzerland. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: Bykov v. Russia, Grand Chamber.

<sup>33</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: Frumkin v. Russia.

<sup>34</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: Bulychev v. Russia.

<sup>35</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Khudobin v. Russia.

სამართლიანობა.<sup>36</sup> ევროპული სასამართლო ადგენს მკაცრ სტანდარტებს სისხლის სამართალწარმოებაში ანონიმური ჩვენებების გამოყენების დასაშვებ ფარგლებთან და შემთხვევებთან მიმართებით.<sup>37</sup> ამასთან, ვინაიდან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ შეიცავს არავითარ ნორმას მტკიცებულებათა მოპოვების თაობაზე. იგი პრინციპულად და in abstracto არ გამორიცხავს, რომ მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებულია შიდასახელმწიფოებრივი სამართლის დარღვევით, დაშვებულ იქნეს პროცესზე. შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს ამოცანაა, გადაწყვიტოს საკითხი ასეთი მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე. სახელმძღვანელო საქმეს წარმოადგენს შრენკი შვეიცარიის წინააღმდეგ (1988).<sup>38</sup> საქმეში მტკიცებულებად გამოყენებულ იქნა ფარულად და მართლსაწინააღმდეგოდ, კერძოდ, უფლებამოსილი მოსამართლის ნებართვის გარეშე მოპოვებული სატელეფონო საუბარი, რომელიც ეხებოდა მკვლელობის მცდელობას. მოსამართლე, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, დაეყრდნო ამ სატელეფონო საუბარს და Shrenk-ს მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. სტრასბურგის სასამართლომ უარყო სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევა, რადგან ბრალდებული მოგვიანებით ინფორმირებულ იქნა სატელეფონო საუბრის ჩაწერის თაობაზე და შეეძლო ედავა მისი ნამდვილობის თაობაზე. მთავარია, რომ სასამართლო მხოლოდ ამ მტკიცებულებას არ დაყრდნობია, არამედ გაითვალისწინა მოწმეთა ჩვენებებიც.<sup>39</sup>

რომის სტატუტი (სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება) შეიცავს რამდენიმე წესს მტკიცებულებათა დაუშვებლობასთან დაკავშირებით. სტატუტის 66-ე, 67-ე, 69-ე მუხლები, ბრალდებულს ანიჭებს დუმილის უფლებას. ბრალდებულს უფლება აქვს თავი შეიკავოს ჩვენების მიცემისგან და მისი დუმილი არ შეიძლება შეფასდეს დანაშაულში მის მამხილებელ მტკიცებულებად. ბრალდებულს ასევე აქვს უფლება ფიცის გარეშე გააკეთოს ზეპირი ან წერილობითი განცხადებას საკუთარი თავის დასაცავად. სტატუტის 69-ე მუხლის მე-7 პუნქტი კი ითვალისწინებს დაუშვებელი მტკიცებულების შესახებ დებულებას: „ამ წესდების ან საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება ითვლება დაუშვებლად, თუ a. დარღვევა წარმოშობს სერიოზულს ეჭვს მტკიცებულების უტყუარობის თაობაზე; ან b. მტკიცებულების დაშვება პირდაპირ ეწინააღმდეგება და სერიოზულ ზიანს მიაყენებს განხილვის კეთილსინდისიერად წარმართვას. როგორც ვხედავთ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის დროს, გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებათა დაცვას. ამასთან, ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ მტკიცებულებათა დაუშვებლობის ორი შემთხვა. თუ პირველ შემთხვევაში მტკიცებულება მისი უტყუარობის თაობაზე სერიოზული ეჭვის გამოა დაუშვებელი.

<sup>36</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Vanian v. Russia.

<sup>37</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Al-Khawaja and Tahery v. UK.

<sup>38</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Schenk v. Switzerland.

<sup>39</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თავი მეორე, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი, 2013წ, გვ. 553.

მეორე შემთხვევაში, მტკიცებულება ფორმალურად კანონიერია და იგი არავითარ ეჭვს არ იწვევს, თუმცა, იგი წინააღმდეგობაშია პროცესის კეთილსინდისიერებასთან.

## V. კანონის დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებათა დაუშვებლობა სისხლის სამართლის პროცესში

სისხლის სამართლის პროცესში დაუშვებელია არა მხოლოდ კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები, არამედ ზოგიერთი გარემოების არსებობისას არსებით განხილვაზე არ დაიშვება კანონის სრული დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებიც. ერთ-ერთი ასეთი გარემოება მოცემულია სსსკ-ის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომლის თანახმად, მტკიცებულება დაუშვებელია, თუ იგი მოპოვებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ.

მსგავსი სახის საექვო მტკიცებულებებს შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მოსამართლე (ნაფიცი მსაჯული) და ხელი შეუშალოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.<sup>40</sup>

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიყო კოლეგიის 2015 წლის 4 სექტემბრის განჩინება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიყო კოლეგიამ 2015 წლის 4 სექტემბრის განჩინებაში საქმეზე №სგ-1310-15 გაიზიარა რა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის პოზიცია, დაუშვებლად მიიჩნია უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, ვინაიდან ის არ იყო ლეგალიზებული კანონით დადგენილი წესით. სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ დაცვის მხარის მიერ წარდგენილი დოკუმენტი ნათარგმნი იყო სამართალწარმოების ენაზე და თარგმანის სიზუსტე დამოწმებული იყო ნოტარიუსის მიერ, მიიჩნია, რომ ფაქტობრივად უცნობი იყო ამ დოკუმენტის წარმომავლობა.<sup>41</sup>

დოკუმენტის თარგმანთან დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო გადაწყვეტილება იქნა მიღებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ №1გ/1721-15 საქმეზე. მოსამართლემ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინება უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტების დაუშვებლად ცნობასთან დაკავშირებით მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდებოდა ამ დოკუმენტების თარგმანთან გაგზავნის ფაქტი წინასასამართლო სხდომაზე ერთი თვით ადრე. მოსამართლის განმარტებით, ბრალდების მხარე ვალდებული იყო, წინასასამართლო სხდომაზე ემტკიცებინა დოკუმენტის წარმომავლობა და ავთენტიკურობა, ამ შემთხვევაში კი არ არის უარყოფილი გონივრული ეჭვი დოკუმენტების ავთენტიკურობასთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტების შინაარსი გაურკვეველია და უცნობია ამ

<sup>40</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ქ. თბილისი, 2015 წელი, გვ 250.

<sup>41</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 4 სექტემბრის განჩინება საქმეზე №სგ-1310.

დოკუმენტებში მითითებული ფაქტები და გარემოებები არის თუ არა შემხებლობაში მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან.<sup>42</sup>

საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2015 წლის 3 ნოემბრის განჩინება. განჩინებით მოსამართლემ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, დაუშვებლად მიიჩნია დათვალიერების ოქმი და ამ ოქმის შედეგად ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებები, ვინაიდან დათვალიერების ოქმი შედგენილი იყო ორი საათის დაგვიანებით და ამოღებული ნივთიერი მტკიცებულება მთელი ამ პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა დაუღუპავ მდგომარეობაში, დამკავებელი პირის ხელში. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იყო უარყოფილი ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის თაობაზე.<sup>43</sup>

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ვკითხულობთ: პ. ფ-ს დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ მისგან ამოღებული ნივთები: ტელეფონი, სიგარეტის ვერცხლისფერ ქაღალდში მოთავსებული ფხვნილისებრი მასა, ტყავის შავი საფულე მოთავსდა პოლიეთილენის პარკში, რომელიც დაილუქა №..... ლუქით და, შესაბამისად, გაკეთდა სათანადო ხელმოწერა. პ. ფ-ს თან ჰქონდა ასევე მომწვანო ხელჩანთა, რომელშიც მოთავსებული იყო ტანსაცმელი, თეთრეული, პირსახოცი და საყოფაცხოვრებო ნივთები, რომლებიც ასევე დაილუქა №..... ლუქით. აღნიშნულით ცალსახად დგინდება, რომ გამოყენებული იყო მხოლოდ ორი ლუქი. სასამართლო სხდომაზე ნივთმტკიცებათა დათვალიერებისა და გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული ნივთები (მობილური ტელეფონი, ტყავის საფულე და ფხვნილისებრი მასა) დალუქული იყო ცალ - ცალკე პაკეტებად, რითაც დგინდება, რომ პირადი ჩხრეკის დროს გამოყენებული იყო № ..... - 4 (ოთხი) ლუქი, საქმეში კი არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ნივთმტკიცებათა განლუქვისა და მათი ცალ - ცალკე დალუქვის ფაქტს. საქართველოს სსსკ-ის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მტკიცებულება „დაუშვებელია, თუ იგი მოპოვებულია ამ კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ“. შესაბამისად, ვინაიდან არ არის უარყოფილი გონივრული ეჭვი ნივთმტკიცებათა შესაძლო გამოცვლისა და მისი ნიშან-თვისებების აშკარა შეცვლის თაობაზე, ხსენებული ჩხრეკის ოქმი საფუძვლად ვერ დაედება პ. ფ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ნაწილში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას.<sup>44</sup>

<sup>42</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 ნოემბრის განჩინება საქმეზე №1გ/1721-15.

<sup>43</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 3 ნოემბრის განჩინება საქმეზე №1გ/1776

<sup>44</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე 2კ-50აპ.-17.

სსკ-ი ითვალისწინებს კანონის დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის კერძო შემთხვევებს, რაც კოდექსის სხვადასხვა მუხლშია მოცემული, მაგ: 83-ე მუხლი, 169-ე მუხლის მე-9 ნაწილი, 214-ე მუხლი, 247-ე მუხლის პირველი ნაწილი და ა.შ. სამწუხაროდ, ნაშრომის სპეციფიკა არ გვაძლევს მათი დეტალურად განხილვის საშუალებას. ამდენად, მათზე აღარ შევჩერდებით.

## დასკვნა

საქართველო, როგორც დემოკრატიულ გზაზე მიმავალი სახელწიფო, სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიღების შემდეგ დაადგა სწორედ იმ გზას, რომლის საბოლოო წერტილიც სამართლებრივი სახელმწიფოა. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, აღსანიშნავია დაუშვებელი მტკიცებულებების ინსტიტუტიც, რაც „ძველი“ კოდექსისგან განსხვავებით, მეტად თანამედროვე დანაწესს შეიცავს.

წინამდებარე სტატიაში განვიხილეთ მტკიცებულებათა დაუშვებლობის პრობლემა სისხლის სამართალში. სამწუხაროდ, დოგმატიკაში აღნიშნული ინსტიტუტი ნაკლებადაა შესწავლილი, ამიტომ შევეცადეთ, დაგვეშუშავებინა აღნიშნული თემა და მეტად გამოგვეკვეთა ის პრობლემები, რომლებიც შესაძლებელია პრაქტიკაში წარმოიშვას.

სტატიაში ძირითადი ყურადღება გადატანილ იქნა „მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინაზე“, რაც ნოვაციაა სისხლის სამართლის „ახალ“ საპროცესო კოდექსში. აღსანიშნავია, რომ აშშ-ისგან განსხვავებით, ქართული სამართალი არ აღიარებს იმ გამონაკლისებს, რომლებიც შესაძლებელია აღნიშნული დოქტრინის გამოყენებისას წარმოიშვას. კარგი იქნებოდა კანონმდებელს გაეზიარებინა აშშ-ის პრაქტიკა და ობიექტური გამონაკლისებით შეეზღუდა „მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინის“ ესოდენ უსაზღვრო ფარგლები.

სამწუხაროდ, პრაქტიკაში დამკვიდრებულია არაერთგვაროვანი მიდგომა მტკიცებულებათა დაუშვებლობასთან მიმართებით, კერძოდ, არ არსებობს კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების განსაზღვრის ერთიანი სტანდარტი, რასაც სტატიაში განხილული პრაქტიკული მაგალითებიც ცხადყოფს.

მიუხედავად პრობლემებისა, აუცილებელია, ერთხელ კიდევ გამოვხატოთ მოწონება დაუშვებელი მტკიცებულებების იმ წესთან დაკავშირებით, რომელიც სისხლის სამართლის „ახალი“ საპროცესო კოდექსით არის გათვალისწინებული.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი სახელმწიფო ვერ იარსებებს, თუკი ადამიანი ხელისუფლების უკანონო მოქმედებებისგან აბსოლუტურად დაცული არ იქნება. სამართლისთვის უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენებაზე უარის თქმა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც დამნაშავე პირის დასჯა. ეს ყველაფერი კი მკაფიოდ და ნათლად განსაზღვრული კანონმდებლობის პირობებშია შესაძლებელია. ისეთ პირობებში, როდესაც ხელისუფლება მოკლებული იქნება შესაძლებლობას უკანონოდ ჩაერიოს ადამიანის ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში.

## ბიბლიოგრაფია

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი., 2008 წელი
2. თუმანიშვილი, გ. სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი., 2014 წელი.
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ქ. თბილისი, 2015 წელი.
4. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თავი მეორე, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი, 2013წ.
5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სახელმძღვანელო იურისტებისთვის), გამომცემლობა მერიდიანი, 2014 წელი.
6. ჩხეიძე „მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი. 2010 წელი.

### ნორმატიული მასალა:

#### ქართულ ენაზე:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წ.
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2010 წ.
3. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ.
4. საქართველოს კანონი "საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ", 19.02.2015.

#### უცხო ენაზე:

1. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
2. უკრაინის რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

3. გერმანიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
4. რომის სტატუტი (სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება)

### სასამართლო გადაწყვეტილებები:

#### საკონსტიტუციო სასამართლის გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015 წლის №2/2/579 გადაწყვეტილება.

#### საქართველოს საერთო სასამართლების გადაწყვეტილებები:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 27 თებერვლის განჩინება საქმეზე №1გ/273-17.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 4 სექტემბრის განჩინება საქმეზე №სგ-1310.
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 ნოემბრის განჩინება საქმეზე №1გ/1721-15.
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 3 ნოემბრის განჩინება საქმეზე №1გ/1776.
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის განჩინება საქმეზე №სგ/1016.
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №1გ/548.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №2კ-609აპ.-15.
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე 2კ-50აპ.-17.
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №2კ-453აპ.-15.

#### ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Bykov v. Russia.
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Schenk v. CH.
3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: Frumkin v. Russia.
4. იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: Bulychevy v. Russia.
5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Khudobin v. Russia.
6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Vanian v. Russia.
7. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Al-Khawaja and Tahery v. UK.

**უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებები:**

1. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: Nardone v. U.S.
2. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: U.S.v Leon.